



ლიცენზირებული საშუაში

საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება
№12, 29 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2022 წელი

გილოცავთ დამდებ 2023 წელს!

ნაძვის ხე

არაფერი...

უბრალოდ, მინდოდა, შემეხსენებინა, რომ აქ ვარ...

ახალი წელიც ახლოვდება და როგორ მოვრთო ნაძვის ხე – სევდა უფრო მეტი იყოს თუ სიხარული? მზის ბურთები ბრწყინავდნენ თუ მთვარე და ვარსკვლავები ანათებდნენ?

მინდოდა მეკითხა, რომელი უფრო დაამშვენებდა ჩვენს საოცნებო ხეს, ნაძვის მარადმწვანე და მარად უჭკნობი ხე რომ ჰქვია.

აღბათ, იმიტომ არის მარადმწვანე, რომ მოჭარბებული სიხარული დაუგროვდა და დარდისთვის ადგილი არ დაუტოვებია, მხოლოდ სითბოსა და სიყვარულის მომტანია იგი მთელი ქვეყნიერების ადამიანებისთვის და სურვილების ამსრულებელი. განა აქვს სხვა მცენარეს ასეთი მნიშვნელობა, როგორც ნაძვს? ვფიქრობ, რომ არა.

ამიტომაც არის იგი გამორჩეული და მისი მარადმწვანე წიწვები, როგორც უმტკივნეულო ნემსები, ისე გიჩხვლეტენ მკერდს...

იმის გაფიქრება, რომ ნაძვთან საჩუქარი დაგხვდება, გულს საამოდ გიჩქროლებს და ულევით სიხარულით გავსებს...

ნაძვის ხეებზე მოთავსებული სევდა კი ერთი წლის გასვლას მოაქვს თან. ამიტომაც არის, რომ წლები მირბიან და ნაძვი კი სევდითა და სიხარულით ივსება...

ვერ გაგიგია, გაიხარო როგორც პატარამ, თუ იდარდო, როგორც დიდმა...

არაფერი, უბრალოდ, მინდოდა შემეხსენებინა, რომ აქ ვარ...

ახალი წელიც ახლოვდება და როგორ მოვრთო ნაძვის ხე – სევდა უფრო მეტი იყოს თუ სიხარული?

ინგა გოგიბერიძე

პუბლიცისტი

ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შ.რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – ლევან ბრეგაძე არაერთი საინტერესო ნაშრომისა და კვლევის ავტორი გახლავთ.

2020 წელს ბ-ნ ლევანმა მონაწილეობა მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებისა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით დისტანციურად ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში წინამდებარე მოხსენებით, რომელიც დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის შვილის – კოტე ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, და რომლის შესახებაც წერდა 1889-1902 წლებში თბილისში გამომავალი ფრანგულენოვანი ჟურნალი „ილუსტრირებული კავკასია“.

საზოგადოება გაცელებულია, ჩვენ ვწუხვართ...

მე-19 საუკუნის ქართულ თეატრს უცხოელი მემკვიდრეც ჰყოლია ფრანგი ჟურნალისტის, ჟიულ მურიეს სახით, რომელიც 1889-1902 წლებში, თბილისში ფრანგულ ენაზე გამოსცემდა ყოველთვიურ უხვად ილუსტრირებულ ჟურნალს სახელწოდებით „Le Caucase Illustre“ („ილუსტრირებული კავკასია“). ორი თეატრალური რუბრიკა ჰქონდა მურიეს ჟურნალში: „ქართული თეატრის მსახიობები“ და „თბილისის ქართული თეატრი“.

ფრანგი ჟურნალისტი ხელოვნების ამ დარგში კარგად ჩახედული ადამიანი ჩანს. ეტყობა, იგი სისტემატურად ესწრებოდა ქართულ სპექტაკლებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მსახიობებთან, რომელთა ნიჭიერებაზე ძალიან მაღალი აზრის იყო.



ჟიულ მურიე

ჟ.მურიე ქართველ მსახიობებზე სტატიებს მათი პორტრეტებითურთ ბეჭდავდა. ასე გაცნო მან ფრანგული ენის მცოდნე მკითხველს ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვის, ლადო მესხიშვილის, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის შემოქმედება.

გთავაზობთ სტატიის ქართულ თარგმანს კოტე ყიფიანის შესახებ, რომელიც ჟურნალის 1899-1900 წლის მე-9 ნომერში (გვ. 16) დაიბეჭდა:

„კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი – მსახიობი, აგრონომი, ლიტერატორი, მხატვარი, პუბლიცისტი, ლექსიკოლოგი, სამეცნიერო შრომათა ავტორი საქართველოს ძირძველ არისტოკრატის მიეკუთვნება. იგი დაიბადა თბილისში, 1849 წელს. სანკტ-პეტერბურგში სწავლის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა და სამეურნეო-სატყეო აკადემიაში შევიდა. ბედის ტრიალმა კ. ყიფიანი აიძულა, 1871 წელს კავკასიაში დაბრუნებულიყო და მიხაილოვთან (ხაშურთან. – ლ. ბ.) ახლო მდებარე ქვიშხეთში, საკუთარ მამულში დამკვიდრებულიყო, სადაც სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მანამდე კი, ბორჯომში, დიდი მთავრის, მიხეილის მიერ, მამულის მმართველის თანაშემწედ დანიშნულმა, ამ თანამდებობაზე წელიწადნახევარზე მეტი ვერ გაძლო, ქუთაისს მიაშურა არაპირდაპირი გადასახადების ზედამხედველის თანაშემწის რანგში და ამ დავალებით გაგზავნილ იქნა სვანეთს. იქიდან დაბრუნებისას გამოაქვეყნა „სვანეთში მოგზაურის მოგონებანი“, შემდეგ – 1869 წელს, სათაურით „ზემო ქართლი“, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული წერილების სერია დაიბეჭდა.

1869 წელს შედგა ყიფიანის დებიუტი ქართულ სცენაზე. მას შემდეგ მან თითქმის ყველა სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. ის არტისტთა შორის პირველი იყო, ვინც ქართულ პუბლიკას კლასიკური რეპერტუარი გააცნო. იგი ერთნაირი წარმატებით ასრულებს დრამატულ, ტრაგიკულ (მეფე ლირი, შეილოკი, მაქსიმილიან მოორი, კარდინალი რიშელიე და სხვ.) და კომიკურ როლებს. თანამშრომლობს თბილისის გაზეთებთან, თარგმნის პიესებსა და სხვა თხზულებებს. მანვე შეადგინა ორი ლექსიკონი – ბოტანიკური და ასტრონომიული. ბოლო დროს დაწერა ნარკვევები: „საქართველოს ანექსია

რუსეთის მიერ“ და „1832 წლის შეთქმულება“.

ერთხანს ყიფიანი განერიდა ქართულ სცენას და თბილისშივე ფორკატის რუსულ დასში მოღვაწეობდა. მსახიობმა, რომელიც გუთნის ხელოვნებასაც ისევე საუცხოოდ ფლობს, როგორც კალმისას, მელპომენესა და თალიას ცერერა ანაცვალა და, როგორც ჩანს, თავის ქვიშხეთის კომპკში გადაივიწყა პატარა ქართული თეატრის სცენა და რამპა, სადაც პირველად ოცდაათი



კოტე ყიფიანი

წლის წინ (მომავალი თვის 25-ს შესრულდება ოცდაათი) მოისმინა აპლოდისმენტები. საზოგადოება გაცელებულია, ჩვენ ვწუხვართ!“.

მურიეს დაკვირვება, რომ კოტე ყიფიანი „ერთნაირი წარმატებით ასრულებს დრამატულ, ტრაგიკულ და კომიკურ როლებს“ სხვა წყაროებიდანაც დასტურდება. ვალერიან გუნია წერს:

„...ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს დრამატული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში, კ.

ყიფიანი სრულებით არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე მაინც“.

ნიშანდობლივია, რომ კოტე ყიფიანის უამრავი პუბლიკაციიდან ფრანგი ჟურნალისტი ოთხ ნაშრომს ასახელებს, რომელთაგან ერთი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას ეხება, ხოლო მეორე 1832 წლის ანტირუსულ შეთქმულებას. როგორც ჩანს, მურიეს საქართველოს კოლონიური მდგომარეობა არ მოსწონდა, მაგრამ, ცხადია, ცენზურის პირობებში თავის სათქმელს პრესიდან აშკარად ვერ იტყოდა, მსუბუქი მინიშნებები კი კავკასიაში რუსული მმართველობის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულების თაობაზე მის სხვა პუბლიკაციებშიც შეიმჩნეოდა.

როგორც ვნახეთ, სტატიის ავტორი წუხილს გამოთქვამს, რომ მსახიობს იმ დროისათვის (1899-1900 წწ.) რაღაც მიზეზით მიუტოვებია სცენა და კვლავ სოფლის მეურნეობას მიბრუნებია.

სცენის მიტოვება კოტე ყიფიანს ადრეც დაუპირებია — 1887 წელს, სტავროპოლს გადასახლებული მამის, დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლელობის შემდეგ. ამის თაობაზე გაზეთ „ივერიაში“ (1887, №267) ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ წერილში (რომელიც გაზეთის რედაქტორს, ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს) ვკითხულობთ:

„ბოლო დრომდის მარტო ხმა დადიოდა ტფილისის საზოგადოებაში, რომ დიდის ნიჭით მიმადლებული არტისტი ქართულ დრამატულ დასისა, ბ-ნი კოტე ყიფიანი, აღარ მიიღებს მონაწილეობას წლევეანდელ წარმოდგენებში, რადგან ყველასათვის ცნობილ მწუხარებისა გამო ერიდება ემსახუროს თეატრსაო. დღეს უკვე დაბეჯითებით ამბობენ, ვითომც ეს ხმა მართალი იყოს და ბ-ნს კოტე ყიფიანს გარდანყვეტილი უარი ეთქვას დრამატულ საზოგადოებისათვის.

წერილის ავტორი იმედოვნებს, რომ დიდი ხელოვანი „კერძო მწუხარებისა გამო არ უღალატებს საზოგადო საქმეს, რომელიც ასე, მჭიდროდა ჰქონდა გულზედ მოკიდებული იმის ძვირფასს მშობელსა, და დაუყოვნებლივ შეუდგება თავის არტისტულ მოღვაწეობასა“.

რამ უბიძგა საუკუნის დამლევეს კოტე ყიფიანს იმისაკენ, რომ მისთვის ესოდენ საყვარელ საქმიანობაზე ხელი აეღო, ჯერჯერობით, ვერ გავარკვეით.

ბოლო ფრაზა კოტე ყიფიანისადმი მიძღვნილი სტატიისა – „საზოგადოება გაცელებულია, ჩვენ ვწუხვართ“ დედანში ასე ჟღერს:

„Le public s'en ktonne, et nous le regrettons“, რაც მცირე ფორმის გარიტმული ლექსია. ჟიულ მურიე არ არის შემჩნეული სათქმელის ლექსად გამოხატვისკენ სწრაფვაში, კოტე ყიფიანის შემთხვევაში მას გამონაკლისი დაუშვია, – ალბათ ქართველი მსახიობისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად.

სილა და ხელოვნება

„ცხოვრება სიკვდილის შემდეგ...“

ქართული ცეკვის მამამთავრის ილიკო სუხიშვილის მოგონებებში ერთი შთამბეჭდავი სურათი ინახებოდა სიცოცხლის ბოლომდე, სურათი, რომელმაც დიდი ქორეოგრაფის მომავალი იწინასწარმეტყველა:

„მაღალი, ღარიბულად ჩაცმული, შეზარხოშებული კაცი თავისთვის, ტაატიტ მიუყვებოდა ქუჩას, ხელში საღებავებით სავსე ყუთი და თუნუქის ქილა ეჭირა. უკან ბავშვების გუნდი მისდევდა. აბუჩად იგდებდნენ, უყვიროდნენ, უსტვენდნენ. თუმცა, ეტყობოდა, რომ არაფერი დაეშავებინა მათთვის.“

ილიკომ ერთი-ორს კისერში მაგრად წაუთაქა და ყველა აქეთ-იქით გაფანტა. უცნობმა მოიხედა. გაბრწყინებულ სახეზე ნამიანი თვალები უციალებდა.

– იმ ბიჭებს რა დავუშავე, რომ აბუჩად მიგდებენ? მაგათთან არ იამხანაგო, ეგენი სულელები არიან. შენ ცეკვისთვის ხარ გაჩენილი, გზას არ გადაუხვიო. შინ რომ მიხვალ, დედას უთხარი, ერთ სანყალ მხატვარს გამოვესარჩლე, რომელსაც არა ებადა რაო.

– რა ვუთხრა, ძია, რა ჰქვია-მეთქი?
– ნიკალა ფიროსმანაშვილი.“ – ამონარიდი ნიგნიდან „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე.“

დიდ ქორეოგრაფს მომავალი დიდმა მხატვარმა უწინასწარმეტყველა – სიცოცხლეში შეუფასებელ-დაუფასებელმა, ჟამთა სვლას ფეხაუნყობელმა და მერკანტილიზმისა და სიყალბისგან შორს მდგარმა...



2 დეკემბერს თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სულმა მარადისობიდან ცოტა ხნით ხაზურის მე-3 საჯარო სკოლის კედლებში ჩამოიხვეწა...

ხელოვნების პედაგოგმა მანანა ჯაფარიძემ, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ფუნჯსა და უიმედო ტრფობას შეწირული მხატვრის უიღბლო ცხოვრების ლაბირინთებში ამოგზაურა დამსწრე საზოგადოება.

„ცხოვრება სიკვდილის შემდეგ...“

ერთმანეთს ცვლიდნენ მხატვრის ტილოებიდან გაცოცხლებული, ზედმინვენით ზუსტად შერჩეული პერსონაჟები: ქურთი მეეზოვე და თავმოძნონე მედუქნე, კოლორიტი, დარდიმანდი ყარაჩოლელები და ძველი თბილისის ამქარნი, ფრანგი



მომღერალი მარგარიტა და კეკლუცი ქართველი ბანოვანები და, რა თქმა უნდა, თავად ნიკალა – უკურნებელი სევდით გარინდული.



„ცხოვრება სიკვდილის შემდეგ...“

მითი თუ სინამდვილე – გაყიდული ქონების ფასად, საოცნებო ქალისადმი მიძღვნილი ერთი ურემი წითელი ვარდი და საპნის ბუშტივით გამქრალი ოცნება, რომელიც ყოველმხრივ უიღბლო მხატვრის ტილოებს შემორჩა მხოლოდ. სამაგიეროდ, ლეგენდად ქცეული ამბავი არაერთი ლექსისა თუ სიმღერის ინსპირაციად იქცა.

ქვიშხეთელი პოეტი და მხატვარი ალექო ღონღაძე სიტყვებით დახატავს ნიკალას პორტრეტს თავის ლექსში:

ჩამოყრილი მხრები,
ულვაშები ფოცხის,
ნაღვლიანი მზერა,
გაცვეთილი ხორცი.
მხატვრის შთაგონება –
გატეხილი ღამე,
„ქურთი მეეზოვე“,
ატეხილი მთვარე...
ძველი ტივის ტრფობით
ამღვრეული მტკვარი,
ჭიქა არყის ფასად
დახატული კრავი.
ავანსცენის ჩრდილში
ტრფობა უიმედო,

სულერთია, როცა
ბედი აღარ ბედობს...
ვერდნახვა ნიჭის –
გენიოსის ხვედრი,
შეუცნობლის შიში,
ჭლექიანი ფერდი...
სულში სიანკარე
თვალხატულა შველის,
იმედგაცრუებულს,
მხოლოდ ფუნჯი შველის...
ვახშმად – ხმელი პური,
დილით – ღვინო-წყალი...
საფლავდაკარგული
ნიკო ფიროსმანი.



„ცხოვრება სიკვდილის შემდეგ...“

მარადიულობაში გაგრძელებული, უსასრულო აღტაცებისა და სინანულის მომგვრელი, რომელიც სათუთად და წრფელი გულისხმიერებით გადმოგვცეს მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, 2 დეკემბერს...

ეკატერინე ბაქრაძე



პოეზია



შუშუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

ანდერძი შვილიშვილს

მზეს, მთვარეს და ვარსკვლავთა გუნდს
 შენ გაჩუქებ ერთად ყველას,
 ცის ტატნობზე ჩამოგიბამ
 ცისარტყელას საქანელას.
 ფეხთ დაგიფენ მინდორ-ველებს,
 ამოქარგულს ვარდის ცვარით,
 საქართველოს შენ გიტოვებ,
 მოუარე, დაიცავი!
 შენ გიტოვებ ჩემი გულის,
 სულის ნაწილს – დავით გარეჯს...
 ანდერძად ამას გიბარებ:
 საქართველოს მოუარე!

მე დავიტირე მამული

მე დავიტირე დიმიტრი,
 მე დავიტირე ილია,
 ცოტნე და ყველა კაი ყმა,
 თავი რომ გაუნირია.
 სამშობლოს სადიდებელად
 გმირებად იბადებიან,
 არწინი, ზეცის ვერ მთმობნი,
 ფრთაგაშლილები კვდებიან!
 მე დღესაც ვტირი, მამული,
 განაყიდ-განასხვისებო,
 ნეტავი ნამოგახედათ,
 თავდადებულო გმირებო.
 არ დაელია ქვეყანას
 იუდა, ფარსადანები,
 გაგვიცამტვერეს სამშობლო,
 არ დაგვიტოვეს ყანები!
 მე დავიტირე მამული,
 ვაი, რომ დღესაც ვტირი მე,
 გვიმრავლე ერისკაცები,
 უფალო, შენი ჭირიმე...

დრო გამიფრინდა, როგორც ჩიტი ღია სარკმლიდან,
 შვიდ ათეულ წელს გუდასავით ვიხსნი მხრებიდან...
 ბევრი ოცნება, ნატვრა დამრჩა წერტილდასმული,
 ვერ შევძელ, შენთვის გალავანი მეშენებინა...
 შენს დაჭრილ სხეულს თუ მალამოდ ვერ დავეფინე,
 შენდამი ტრფობა თუკი მხოლოდ გულში დავტყე,
 ვერ მოვიხადე ღირსეულად მე შვილის ვალი,
 მამული ჩემო, გვედრები, გთხოვ, მაპატიე!..

ოი, დაღლილო ფიქრებო,
 სურვილო აუხდენელო,
 უსტარო, სიზმრად ნანერო,
 სამზესოს გაუმხელებო.
 ცრემლო, გულიდან ნაწურო,
 თვალეზე ნყაროდ ნადენო,
 ოხვრავ, ცად გამოკიდულო,
 გრძნობავ, ნაქარგად ნაფენო.
 ვისთვისაც ცეცხლი მედების,
 სხვისად რად გაჩნდა, გამჩენო?
 ის, ახდენილი ოცნება
 მე როდის უნდა მაჩვენო?

ჯვარი

ველარ მივდექ ქარის ქროლვას, დამიმძიმდა ტერფები
 და დამფრთხალი შვლის ნუკრით ეკალ-ბარდებს ვედები...
 ტკივილებით გავითანგე, მძიმე ჯვარი მანვება,
 ცრემლები ვერ მოიცილა უფერულმა ღანვებმა.
 ამდენ ღალატს ვით გაუძლებს გული მიუსაფარი?
 სად ვეძებო, სად ვიპოვო სულის თავშესაფარი?!
 იქნებ ჩვენვე დავიბედეთ ორგულობა მოყვასის,
 იქნებ, დღემდე, მხოლოდ უფლის მონყალე ხელს მოვყავდით.
 დაიფარე, ღმერთო, ჩვენი ცოდვიანი სულები
 და გაუღლვე კაცთა მოდგმას გაყინული გულები...

მამული

შენს თბილ მინას, უძირო ცას ვეფერები, ლოცვად ვდგები,
 სიყვარული შენ მასწავლე, შენ გამხადე ჭირთა მთმენი.
 ეს სიცოცხლე შენთვის მინდა, დაგფოფინებ, თავს გველები,
 შენს მადლიან მთებს და ველებს ვერ ველევი, ვერ ველევი.
 ბევრჯერ სცადეს, შეგჭრან ფრთები, რამდენ ღალატს გაუძელი!
 მუდამ გფარავს დედა ღვთისა და მადლი ცხოველიძელის...

სტუმრად გორიდან ხაშურში

პირველ დეკემბერს შიდა ქართლის მწერალთა ორგანიზაციის
 თავმჯდომარის, პოეტ დავით ახლოურის ინიციატივით, შიდა ქართლის
 მწერალთა ორგანიზაციის ჯგუფი, პროექტის ფარგლებში „ღვთის
 კაცის ნაკვალევზე“, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დროებით
 გამოფენას, გიორგი სააკაძისა და ჩვენი უძღვევლი წინაპრების ნაკვალევს
 ტაშისკარში და ქვიშხეთში, დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმს ეწვია.

სტუმარ-მასპინძლებმა იმ მწვავე და საფრთხის ქვეშ არსებული
 საკითხების ირგვლივ ისაუბრეს, როგორც არის ენისა და რწმენის
 ხელშეუხებლობა, მართლმადიდებლური სამყაროსადმი მიზანმიმართულად
 გამოხატული უპატივცემულობა, ჩვენი ქვეყნის დაკარგული ტერიტორიები
 და ისტორიისა და ლიტერატურისადმი განელეებული ინტერესი
 ახალგაზრდობის მხრიდან.

დავით ახლოურმა წამოჭრა იდეა, სკოლებში, სკოლის ადმინისტრაციის
 ხელშეწყობით, გაიხსნას ლიტერატურის მოყვარულთა კლუბები, რომელსაც
 მრავალმხრივი დატვირთვა ექნება, და რომელიც ხელს შეუწყობს ზემოთ
 ჩამოთვლილი საკითხების მოგვარებას.

